ცნობა

გიორგი კვირიკაშვილი დაიბადა 1967 წლის 20 ივლისს;

1984 წელს წარჩინებით დაამთავრა ვლადიმერ კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა;

1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი;

1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (სპეციალობა – მრეწველობის დაგეგმვა);

1986-1988 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში;

1997-1998 წლებში სწავლობდა ამერიკის შეერთებული შტატების ილინოისის უნივერსიტეტში (University of Illinois at Champaign-Urbana, IL, USA) და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი;

1993-1996 წლებში მუშაობდა „გაერთიანებულ ქართულ ბანკში" (საწყისი პოზიცია – აკრედიტივების ოფიცერი, საბოლოო პოზიცია – საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე);

1996-1997 წლებში იყო „ექსპორტ-იმპორტ ბანკის" ვიცე-პრეზიდენტი, 1998-1999 წლებში – „გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალების მართვის დეპარტამენტის დირექტორი;

1999 წელს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში ფისკალური, ფულად-საკრედიტო და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილედ, საქართველოს

მთავრობისა და USAID-ის ერთობლივი პროგრამის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელად;

1999-2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კომიტეტის წევრი;

2004-2006 წლებში მუშაობდა „პირველ კომერციულ ბანკში";

2006-2011 წლებში იყო ბანკ „ქართუს" გენერალური დირექტორი;

2012 წელს მუშაობდა ლენზი-ფიშერ-ჰენდრის (Lenzie Fisher Hendry LLC – Economic Development Consulting) ეკონომიკური განვითარების საკონსულტაციო კომპანიაში;

USAID-ის საპენსიო რეფორმა სომხეთის რესპუბლიკაში, ფინანსური ინსტიტუტების კომპონენტი;

მსოფლიო ბანკის პროექტი მალდივების რესპუბლიკაში – დახურული კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი;

2012 წლის 25 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;

2013 წლის 26 ივლისს დაეკისრა საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება;

2015 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 30 დეკემბრამდე იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;

2015 წლის 30 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრად;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.